

## ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს სოფლის განვითარებას

რა გზები არსებობს საქართველოში სოფლის განვითარებისთვის და როგორ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ მოსახლეობას დაბრუნდნენ თავიანთ სოფლებში, გააძლიერონ ადგილობრივი ეკონომიკა და ჰქონდეთ ჯანსაღი და ხარისხიანი ცხოვრება. ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ადგილობრივი მოსახლეობაა, რომლებმაც უკეთ იციან რა სჭირდება ადგილობრივ თემს და როგორ შეიძლება მიზნის მიღწევა.



ევროკავშირი ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ეხმარება საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებაში ადგილობრივი განვითარების ჯგუფების (LAG) ჩამოყალიბებით და თემის მობილიზებით, რათა მათ ხელი შეუწყონ თავიანთი სოფლების საარსებო წყაროს გაუმჯობესებას.




*LAG არის სოციალური პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ადგილობრივი საზოგადოების (საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორების) წარმომადგენლებს. იგი შეიმუშავებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას და ახორციელებს მრავალფეროვან სოციალურ-ეკონომიკურ საქმიანობას ადგილობრივი საზოგადოების სასარგებლოდ. LAG-ის საქმიანობა ადგილობრივი მოსახლეობის ხედვას, ენერჯიას და ჩართულობას ეფუძნება.*

## როგორ დავეხმარეთ ადგილობრივებს თემის მობილიზებით მათი რეგიონის განვითარებაში

- ▶ **საქართველოს 12 მუნიციპალიტეტში** ჩამოვყალიბეთ LAG-ები და **ხელი შევუწყოთ ადგილობრივი თემის მობილიზებას და გაძლიერებას**
- ▶ მხარი დავუჭირეთ LAG-ებს:
  - ადგილობრივი **საჭიროებების და პრიორიტეტების განსაზღვრაში** და მათ გადაჭრაში
  - ადგილობრივი **სტრატეგიების შემუშავებაში** და **ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიცირებაში**
  - **გავეცით გრანტები** LAG-ების მიერ შერჩეული **ადგილობრივი ინიციატივების მხარდასაჭერად**
- ▶ **დავაფინანსეთ** LAG-ბის მიერ შერჩეული **500-ზე მეტი სოფლის განვითარების ინიციატივა** სხვადასხვა ეკონომიკური და სოციალური სფეროებიდან: **სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, სოციალური ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, განათლება, სპორტი და კულტურა**
- ▶ ამ ინიციატივებით უკვე **დასაქმდა 1000-ზე მეტი ადგილობრივი ოჯახი**, ხოლო **საცხოვრებელი პირობები 10,000-ზე მეტ სოფლად მცხოვრებ ადამიანს გაუმჯობესდა**
- ▶ ცენტრალურ დონეზე, ევროკავშირი ეხმარება მთავრობას პოლიტიკის შემუშავებაში და **2021-2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის განხორციელებაში**
- ▶ ხელი შევუწყოთ **საქართველოს LAG-ების ასოციაციის და სოფლის განვითარების საზოგადოებრივი ქსელის შექმნას**, მთავრობასა და LAG-ებს შორის აქტიური დიალოგისთვის

# ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი LAG-ები და ინიციატივები საქართველოში



## რა შედეგები გვაქვს?



„ხულო ძალიან გაიზარდა, სამოქალაქო თვითშეგნება გაუმჯობესდა, ადგილობრივები უფრო გააქტიურდნენ და ცდილობენ მუნიციპალიტეტის განვითარებაში მონაწილეობა მიიღონ.“

- ასლან ტუნაძე, ხულოს LAG



„LAG-ის მუშაობამ ადგილობრივებს მოტივაცია გაუჩინა. ისინი ხედავენ, რომ ქედას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და ცდილობენ, რომ ადგილობრივი რესურსები მაქსიმალურად გამოიყენონ.“

- გიორგი აბულაძე, ქედის LAG



„თეთრიწყაროს LAG-მა შეძლო სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების გაერთიანება და მათი ხედვისა და გამოცდილების მუნიციპალიტეტის განვითარებისკენ მიმართვა.“

- ნინო ტიკურიძე, თეთრიწყაროს LAG

## რას ვეხმავთ?

ENPARD-ის პროგრამის მეოთხე ფაზის ფარგლებში, ევროკავშირი გააგრძელებს საქართველოს სოფლის განვითარების მხარდაჭერას და სოფლად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობას. პროგრამის შემდეგი ფაზა მეთად ორიენტირებული იქნება მოწყვლადი რეგიონებისა და ოჯახების (მათ შორის ეკო-მიგრანტების, კონფლიქტით დაზარალებული პირების, ეთნიკური უმცირესობების, მიგრანტების) ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციაზე. ამასთან, პროგრამა გააგრძელებს ადგილობრივი განვითარების გადამწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობას, მათ შორის ახალგაზრდებისა და ქალების გაძლიერებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [კამპანიის ვებგვერდი](#) და [www.enpard.ge](http://www.enpard.ge)